





# ზარისა რეკვა!..

ზარისა რეკვა,  
რეკვა ზარისა!

ვით სევდიანის ხმით გამოისმის დაზიანებულ ქართველთ ტაძრისა...

ზარისა რეკვა, არა ლოცვის;  
რეკვა ზარისა, არა ცისკრისა...

არამედ, ზარი, ზარი მწუხრისა, ივერიელთა სადიდებელის სვეტიცხოვლისა...

ზარისა ხმაა,  
ხმაა ზარისა!

ვითა მკენესარე ტიალ ობლისა, გაისმის: ველად, მთასა და ხევად ქართველთა წმინდანთ საგანისა...

ზარისა რეკვა, არა ლოცვისა;  
რეკვა ზარისა, არა ცისკრისა...

ვით შეიძლება მონა ობოლსა გაეზიაროს მამინაცვალსა?!.. არამედ, ზარი, ზარია გლოვის, ვითა ქვრივისა, სამოციქულო მცხეთის ტაძრისა..

ზარისა რეკვა,  
რეკვა ზარისა!

არხევს ჰაერსა, ჰვენს მიდამოსა და ურყევს სულსა ძეთა მართალთა...

ზარის რეკვის ხმა, ვითა ზეცისა;  
ხმა, ვითა ღვთისა, ხმაა ერისა!

ზარია, ზარი, ზარის ხმა არი, ღვთისმშობლის მხვედრთა ივერთ ტაძრისა!..

ზარისა რეკვა,  
რეკვა ზარისა!

ბუნებას ერთვის; ზეცას ღრუბლებს ჰკვრის და ნისლსა აფენს ყაზბეგის მთასა...

ზარისა რეკვა, არა ლოცვისა;  
რეკვა ზარისა, არა ცისკრისა!..

არამედ ზარი, ზარი მწუხრისა, დაობლებულის ეკლესიისა!..  
**ს. გლახაშვილი.**



ძარითული და სომეხური თეატრის მსახიობანი.

დგანან. ო. აბელიანი, კ. ყიფიანი; სხედან: არაქსიანი, (პ. კალანთაიანი) ვ. აბაშიძე და ვლ. მესხიშვილი.

## დ ე დ ე

(მოთხრობა დურღაიკისა).

სადასარებოდ მოსულნი რიგს ელიან სარკმლის წინ.

აგერ ახალგაზრდა ბრეტონელი, მოახლე — ქალი მოჰშორდა სარკმელს, რაღაცა არეულ-ალეწილია, შემკრთალი ჯდება სკამზე. მის ადგილს იჭერს სქელი, წითური, ჩასუქებული დედაკაცი, მოიშორა ცოდვები და შემსუბუქებული მოჰშორდა.

სარკმელი კვლავ იღება:

— მამაო ჩემო! მე დაწყევლილი ვარ! სასოწარკვეთილი!

ეს სიტყვები ისეთის გულის გასაგმირავის ჩურჩულით წარმოთქვა, იმდენი ტანჯვა და სულის გვემა იხატებოდა ამ ხმაში, რომ მოძღვარმა რომელიც უკვე მიჩვეული იყო ათასნაირ საიდუმლოების მოსმენას და ხალხის სულიერ ტანჯვას განცდას, მაინც მთელის არსებით შეირყა, — გადაჰხედა თავის წინ მუხლმოდრეკილ ქალს — იგი მისთვის უცნობი იყო... მის ტანჯულ სახეზე ნათლად სჩანდა წარსული სილაშაზის ნიშანი. სახე მშვენიერად ჰქონდა მოყვანილი, კეთილშობილური შეხედულობა, უდროვოდ გათეთრებული თმები, თეთრი სათუთად შენახული ხელები დღევანდელსა უკანკალებდა. იგი სადათ იყო ჩაკმული, სჩანდა, რომ მაღალ წრეს ეკუთვნოდა.

სიტყვა უფალმა: „მოვედით ჩემთან ყოველნი მამუგარანი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“. — აღვიარეთ ღვთის წინაშე თქვენი ცოდვანი, შვილო ჩემო, მოწყალეობა უსაზღვროა მისი.

— მაგრამ სიმართლე! ჩურჩულით უმატებს ცოდვილი, ჩერდება; ქვითინი აღჩობს.

— მე მოვედი, იწყებს იგი ხელახლად, — ვაღვიარო ჩემი მწუხარება, რომელიც არ ძალმიძს არავის გაეზიარო! მოვედი რომ აღ-

სარებით შევიმსუბუქო ტანჯული სული, რომელსაც ცოდვა მძიმე ლოდივით აწევს.

— სიტყვი, შვილო ჩემო, გისმენ.

— ოცის წლის შვილი მყავს... დედის ერთაა, ოთხს შვილში ის და შემრჩენია... ისიც მიკვდება!..

სასოწარკვეთილი თითებს იმტვრევს.

— მიმალავდნენ... მაგრამ მივხვდი... დღეს ექიმებმა შეამოწმეს... მე მომამორეს... მაგრამ ჩუმიად ყურს ვუგდებდი... ფარდის უკან ვიყავი... და გავეგი გადაწყვეტილება ექიმებისა; იგი ველარ მიაღწევს შემოდგომამდის...

— ღვთის მშობელო დედაო — ჩურჩულებს მოძღვარი და ხმა მაღლა უმატებს:

ადამიანები სცდებიან, შვილო ჩემო: ექიმებს რამდენი ავად-მყოფებისთვის გადაუწყვეტათ სიკვდილი, მაგრამ ღვთის წყალობით მორჩენილან!..

— არა, არა! წამოიძახებს უბედური დედა, — იმათ სიმართლე სიტყვს; იგი უნდა მოკვდეს, როგორც დანარჩენები დაიხოცნენ იმ საბედისწერო თვეში!

ხელმეორედ გადაავლო თვალი ცნობის მოყვარე მოძღვარმა უცნაურ მოაღსარებებს; მიუხედავად მისი სასოწარკვეთილებისა სიგიჟის ნატამალიც კი არ ემჩნეოდა.

— დამშვიდო, შვილო ჩემო, აღვიარე ყოველავე.

— ჩემი თავგადასავალი მწუხარე და უღმობელია! — ღრუბად ამოიოხრა და დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად: — მე გავთხოვდი ამ ოცდაათს წლის წინად, მხოლოდ თვრამეტის წლისა ვიყავი მაშინ... ჩემი ქმარი მეზღვაური იყო, როგორც კი გავთხოვდი, — იგი დანიშნეს სენეგალში. კარგა ხანი გავიდა... მე ობოლი ვიყავი, ქვეყანაზე მარ-



ტოდ მარტო, უპატრონო... — ერთი სიტყვით უნდა გამოგიტყდეთ, სულიერო მამავ... იმ დროს, როდესაც ჩემი ქმარი მხნედ ასრულებდა თავის მოვალეობს უტხო ქვეყანაში, მე აქ დავივიწყე მეუღლის ერთგულება... დიდა ჩემი ცოდო, მაგრამ მხოლოდ ამითი არ განისაზღვრება!

— განაგრძეთ!

— სასჯელმა არ დაიგვიანა... მალე დედა შეგაქენი... მაგრამ ვიდრე ბავშვი გაჩნდებოდა მისი მამა უკებ გარდაიცვალა; დავჩი ისევ მარტოდ-მარტო და ვიყავი გამოურყვეველ მდგომარეობაში. რა მექნა?.. როგორ მოვექცეულიყავი?.. კარგად ვცოდი ჩემი ქრმის ხასიათი, — ის არავის არ შეარჩენდა უნამუსობას... უბრალო ეჭვი, — და მე დავიღუპებოდი... შიშმა შემადრწუნებელ გარდაწყვეტილებამდის მიმიყვანა: გამოვაცხადე რომ მივდივარ სამოგზაუროთ, გაიხიზნე პარჩის განაპირას, დავიჭირე ოთახი, გამოვიცვალე სახელი და იქ გამიჩნდა ვაჟი შეილი... ეს მოხდა 13 ოქტომბერს 1854 წელს.

შეჩერდა. მოძღვარმაც აღარ უთხრა „განაგრძე“.

— მაშინ... ოჰ, სულიერო მამავ! ჩემმა გარემოებამ დანაშაულობამდის მიმიყვანა და მიტომაც ვიტანჯები ასე უწყალოდ... მე თითქმის მძაგდა უბედური, ცოდვის შეილი... უდანაშაულო არსება... მეშინოდა მისი... თავის გასამართლებელი არა მაქვს-რა... მე მდიდარი ვიყავი... შემეძლო იგი კეთილ ხალხისთვის მიმეზარებინა, მეძლია შესანახი ფული და მით ჩამეჩუვებინა ივინი... მეშინოდა ხალხისა, მეშინოდა, არ გახზაურებულიყო, არ მიედწია ამ ამბავს გრაფის ყურამდე. მეშინოდა გრაფის რისხვისა... გიმეორებთ, სულიერო მამავ, მე სულმდაბალმა, ფლიდმა... მე, დედამ... ჩემი შეილი აღმზრდელ სახლში მივაგდე!

სინდისით ნაქენჯნი ცოდვილი დედა ამაოდ ელის გასამხნევებელ სიტყვებს...

მოძღვარი სდუმს.

— მე თქვენა მკიცხავთ... დიახ, თქვენ მართალი ხართ, მამაო ჩემო! მაგრამ.. მეგონა ბავშვის ბედ-იღბალი კვლავ მაინც გახსენდებოდა... მამის სახსოვრად ყელზე ჩამოვკიდე „მედლონი“ რომელზედაც შემდეგი ასოები ეწერა: „ი. მ.“ მაგრამ არა... რისთვის ვტყუი? — მაშინაც ვატყუებდი ჩემს თავს... ჩემის სიმაბლის დასამტკიცებელია ის ბავშვი... იმას იქდან არას დროს არ გამოვიყვანდი... მე მსურდა, რომ იგი სრულიად გამქრალაყო. სამუდამოთ! სიკვდილიც კი მენატრებოდა მისთვის! გავლითაც კი ფეხ აჩქარებით მივდიოდი იმ ქუჩაზე, რომელზედაც ბავშვი მეგულებოდა, მეშურებოდა, არ მინდოდა გამეგონა ბავშვის გულ-შემზარავი ხმა, რომელიც ჩემს სინდისს ქენჯნიდა და ყურში გამუდმებით ჩამჩურჩულებდა: „ავო დედავ! უგულო დედავ!“

მოძღვარი სდუმდა.

— დიახ! ეგრეც არას! მე უსულ-გულო ადამიანი ვარ! დრო გადიოდა, ჩემი საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა. ყოველივე დავიწყებას მივეცი, და ემზარულობდი, ვფიქრობდი მხოლოდ გართობაზე, სიამოვნებაზე... და დავივიწყე!! ჩემ ქმარს ეჭვიც არ შეჰქონდა.

დამებადა კიდევ ვაჟი, ისევ ოქტომბერში... რამდენიმე დღე იცოცხლა და მოკვდა... ეს ჩემი ცოდვის პირველი განკითხვა იყო... მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე... დანარჩენების ბედიც ეს იყო, ყველანი იბადებოდნენ და იხოცებოდნენ იმ საბედისწერო თვე-

ში... ერთმა უკვე სიარული დაიწყო... იძახოდა „დედა! ნაწილ-მეორეთი... რე საზიარებლად ემზადებოდა... უკანასკნელი კი ის არის, რომელიც ეხლა სიკვდილს ებრძვის... ოც წლადის მიაღწია!

ქვითანმა შეაწყვეტინა სიტყვები, ცრემლები აღრზობდნენ. ხელსახოცი ჩაიდო პირში, კბილები გაუჭირა და დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

— ეს ღვთის რისხვაა... გადაგდებული ბავშვი შურს იძიებს... მე ამას ვგრძნობ, ვიცი! ის, რომელიც უპატრონოდ მივატოვე ითხოვს ღვთისგან განსჯას და ნიშნად შურის ძიებისა შეუბრალებლად და სასტიკად გლეჯს დედის გულიდან სათითაოდ ბავშვებს, — იგი სამაგიეროს მიხდის, ისე შეუბრალებლად მეპყრობა, როგორც მე მოვეყარო! როგორ მოვალბო მისი განრისხებული გული, როგორ გამოვისყიდო ჩემი დანაშაული? ოჰ! მე ნება არა მაქვს მოვანხო მისი გზა-კვალი და მოვთხოვო ბოდიში და შენდაბა! მეშინიან, რომ სამაგიეროდ სასტიკი პასუხი არ მივიღო! „ის მოკვდა... მან დასწყევლა თავისი დედა!“

საიქოს შურისძიებას ვერაფრით ვერ ავიცდენ!

გაჩუმდა. მოძღვარმა თავი ჩაჰკიდა, თითქოს ისევ ყურს უგდებდეს...

... აბბატი ვინცენტი ერთი გადაგდებული ბავშვთაგანი იყო, რომელიც თავშესაფარის სახლის დირექტორმა გადასცა ერთ კეთილ ბრეტონელ ქალსა, რომელსაც ხუთი საკუთარი შეილი ჰყავდა. პატარა ვინცენტი ცხვრებისა და ბატების მწყემსად დააყენეს; მთელი დღე მინდორ ველად იყო, შესცქეროდა ბრეტონიის ლურჯ ცას, ბრწყინვალე ვარსკვლავებს, სტკბებოდა მშვენიერი ბუნებით და ოცნებობდა. ამ ლაღმა, დიადმა და ველურმა ბუნებამ — ნელ-ნელა ჩანერგა ბავშვის გულში გარკვეული მიმართულება.

როგორც კი დაირეკებოდა შეუდღისას თორმეტი საათი, იგი სასოებით მოხდიდა ქედს, აღაპყრობდა თვალებს, შესცქეროდა მუქლურჯ ბრეტონიის ცას და წარმოსთქვამდა საღმრთო სიტყვებს:

„მოვედით ჩემთან ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ!“

ამის მნახველი, მისი ამხანაგებიც, იწყობდნენ გულზე ხელებს და იმეორებდნენ ვინცენტის სიტყვებს.

მაშინვე გამოსტვიადა მასში მოციქულებრივი მადლი და მისიონური ცეცხლის ნაპერწკალი.

პირველი ზიარების მეორე დღესვე, იგი გამოცხადდა რექტორთან და განუზიარა თავისი სურვილი.

- მე მინდა ამოვარჩიო სასულიერო სამსახური!
- მაგის მისაღწევად დიდი სწავლა დაგჭირდება!
- ვისწავლი!
- უნდა იცოდე ლათინური ენა და ბევრი სხვა რამ...
- ყოველივეს შევისწავლი რაც კი საჭირო იქნება...

მის ღრმა გადაწყვეტილებას, ხელი აღარ შეუშალა ღირსეულმა მოძღვარმა: ბავშვი ღვთისაგან რჩეული იყო. მოძღვრის დახმარებით ობოლი ვინცენტი სასულიერო სემინარიაში შევიდა, მისმა იშვიათმა სასოებამ, სიბეჯითემ და თვალსაჩინო ნიჭმა პროფესორის ყურადღება მიიპყრო.


— იგი ეპისკოპოსი იქნება! ამბობდა რექტორი.




პრაპ. სილოვან კაბანიძე (მოკლულია).



თ-დი ანტონ (ანტიპო) ფალავა (დაჭრილ. და ტყვედაა წაყვანილი).



თ-დი ირაკლი ჩოლოყაშვილი (მოკლულია).



იესე გიორგაძე (დატყვევებულია).



მოლოდინიც გაუმართლდა. თუმცა ვინცენტი ახალგაზდა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დანიშნეს სატახტო ქალაქის, მარავალ რიცხოვან მრევლის ვიკარად.

რა მოისმინა სამწუხარო საიდუმლო ცოდვილის, მრავალტანჯულის დედაა, მოძღვარმა ჩაჰკიდა თავი და მოიგონა თავისი ბავშვობა, თუ განწირული, უთვისტომო და მარტოდ-მარტო მიტოვებული, რა ნაირად გრძობდა უდედობას. გაახსენდა თუ როგორ ხშირად სტიროდა, როდესაც მისი ტოლ-ამხანაგები მხიარულად ედახოდნენ თავიანთ მშობლებს: „დედა“-ს. მას კი არა ჰყავდა დედა და ეს ნაზი, ალერსიანი სიტყვა ვერავისთვის ეთქვა, ვერავისთვის... ბუნებით მგრძობიარე და ზრდილობიანი ბავშვი ვერ შეეგუა იმ მოუხეშავ წრეს, სადაც ბედმა არგუნა ცხოვრება. უზომოთ მოსიყვარულე არსებამ ვერა ჰპოვა თანაგრძობა, ალერსი და მიჰმართა ღეთის მშობელს, რომელსაც თამამად უწოდებდა თავის დედას, და რომლის წინაც პირველად სწირა..

ფიქრობდა „მედალიონზე“, რომელიც კვლავ ეკიდა გულზე... იმავე „მედალიონით“ განშორდა იგი თავშესაფარს. ცრემლ-მორეული შესცქეროდა ხელებ აპრობილ დედაკაცს, რომელმაც გულწრფელად გაუმხილა თვისი შეცოდებანი.

და ეს ხომ მისი დედაა! ცოდვილი და დამნაშავე, საბრალო და ტანჯული დედა!

სასოება ეკარგებოდა, მოთმინება ჰალატობდა, მზად იყო დამნაშავესავით დაეყვირა! „დედა, შემომხედე, მე ვარ, შენი შვილი!“ უკვე გააპო ბავშვი... მაგრამ თავი შეიკავა, შეჩერდა. სიტყვა ბავშვზე გაეყინა.

„მოძღვარი ვარ, ეს ხომ აღსარება იყო... პირად გრძობას აქ აღვლი არა აქვს...“

დედა თრთოლვით ელოდდა... მაშინ მოძღვარმა წყნარად და მოწიწებით მიჰმართა მას:

— იმედი იქონიე, უბედურო დედა, განაგდეთ ფიქრიდან შურისძიება და სიძულვილი: შვილი დედის შურს არას დროს არ იძიებს! თქვენ შვილს ებრალებით და გაბატონებთ კიდევ ცოდვებს. იგი ზეციერ მამას თქვენთვის სამაგიეროს კა არა — პატიებას სთხოვს. თუ

მკვდარია თქვენი შვილი — ლოცულობს თქვენთვის და ძმისთვის, რომელიც სულიერად და ხორციელად მისი ძმაა, თუ ცოცხალია სხარულით შესწირავდა თვის სიკოცხლეს ავადმყოფს ძმას ოღონდ კი სიკვდილს გამოჰგლიჯოს ხელიდან...

— თქვენგნით უარყოფილი შვილს გულისთვის მიპატივები შეცოდებანი, — და გთხოვთ — ხანდახან მოიგონოთ ხოლმე იგი მხოლოდ სიძულვილით კი არა არამედ — სიბრალულით და მშობლური ტკბილის გრძობით, თუ ღმერთს უნდა, თქვენი სიყვარულისთვის დაიფარავს ავადმყოფს ძმას სიკვდილისაგან.

— ოჰ, მოძღვარო ჩემო! რა სათნოიანია თქვენი სიტყვები თქვენი სიტყვები დამისხნიან მე განწირულებისაგან და წარიტაცებენ ჩემგან ურწმუნობას!

მან დაჰხარა თავი, შეძრწუნებული ვიკარი თვალს არ აშორებდა მის გაყვითლებულ სახეს, ცდილობდა ღრმად აღბეჭდილიყო მის მხსიერებაში დედის სახის ნაკვთები! იგი ჰხედავდა დედას პირველად და უქანასკნელად.

წყნარის ხმით და სასოებით, წარმოსთქვა აღსარების ლოცვა სიტყვებს ძლიერ ამბობდა.


— წადით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე! — წარმოსთქვა მან მოძღვარმა სძლია ადამიანურ გრძობას; აღსარების საიდუმლოებამ დაჰფარა ოჯახის სირცხვილი... და იმ დროს, როდესაც ბედ-დამორჩილებული დედა ნელის ნაბიჯით შორდებოდა საარქმელს, უარყოფილის შვილის ლაწვზე ორი მსხვილი ცრემლი ჩამოგორდა...

— შენიშნეთ, აუტყდათ ჩურჩული იქ მყოფ სააღსარებოდ მოსულ დედაკაცებს, — ვიკარი როგორი ფერ-მკრთალია დღეს! მეტად იქანცება, ღვალით შემოსული წმინდა კაცი. შეიძლება ავადაც გახდეს.

მოძღვარმა დაჰკითხა ყველას აღსარება, მორჩა თავის საქმეს და ღრმა ფიქრებში გართული მიდი-მოდიოდა ეკლესიაში. მერე გასწია ღეთისმშობლის ხატისკენ, დაემხო მის წინ და დიდხანს ლოცულობდა ლოცულობდა ძმისთვის, რომელიც თავის დღეში არ ენახა და დედისთვის რომელსაც თავის დღეში აღარ იხილავდა.

ან. ახალშენიშვილისა.

### ჩვენი ნაცნობები



ლემბორი.

„თეატრი და ცნობრება“.